ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 7

ქ. გორი _ 10 _ _აგვისტო_ 2016 წ.

ვდებთ ამ ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ(შემდგომში „ხელშეკრულება“), ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მწერალთა სახლი (შემდგომში შემსყიდველი), ერთი მხრივ, დირექტორის, ჯემალ ინჯიას სახით, და, მეორე მხრივ, ი.მ.რუსუდან საგანელი–ძე ფარნავაზის დირექტორი რუსუდან საგანელიძე (შემდგომში „მიმწოდებელი“), გამარტი–ვებული შესყიდვის საშუალებით, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ საქართველოს კანონის“ მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „ს‘“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ორგანიზაციისათვის ბეჭდის დამზადების შესყიდვა.
1.2. მომსახურება CPV კოდი 301921550(საოფისე შტამპები/ბეჭდები) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 38.00 (ოცდათვრამეტი ლარი,ნული თ.) ლარს.

N	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ღირებულება
1	საოფისე ბეჭდი	ცალი	1 (ერთი)	ლარი 38.00	ლარი 38.00 (ოცდათვრამეტი ლარი,ნული თ)
	სულ				ლარი 38.00

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმ–ით ეროვნულ ვალუტაში;
3.2მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის/ზედნადების საფუძველზე.
3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტზე შემსყიდვე ლის მიერ ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.

4. მიღება–ჩაბარების წესი

4.1მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმომწერი მხარეებია: შემსყიდველი ჯ. ინჯია და მიმწოდებე ლი რ. საგანელიძე ან მხარეების უფლებამოსილი პირები.
4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრუ–ლი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1 მომსახურების გაწევის ადგილია ქ. გორი
5.2 მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 10 აგვისტოდან 10სექტემბრა–მდე;

6 .ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნა–კისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
6.2 შემსყიდველს უფლება აქვთ განახორციელოს ტექნიკური კონტროლი ანდა შეამოწმოს მი–წოდებული ობიექტი, რათა დარწმუნდეს მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალის–წინებულ ტექნიკურ პირობებთან.;
6.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექ–ტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
6.4 შემსყიდველს უფლება აქვს წუნდებული ნივთის ან მომსახურების არასათანადო ხარისხ–ით შესრულების შემთხვევაში მოახდინოს მიმწოდებლის გაფრთხილება და მოითხოვოს ნაკ–ლის აღმოფხვრა. მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს ნაკლი. აღნიშნ–ლი გარემოების ორჯერ აღმოჩენისას შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხე ლშეკრულება.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში მხა რეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებ ულების ღირებულების 0,1%–ის ოდენობით.
7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრ ულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესძლებელია მხოლოდ წე რილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქარ თველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებე–ლია 10%–ზე მეტი ოდენობით;
8.4 ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობ–ის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშ ეკრულების შეწყვეტის შესახებ;
8.5 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრ ახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექ ტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს;

8.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
8.7 ხელშეკრულება შედგენილია 2(ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგანაც თითოეული გადაეცემათ მხარეებს.

9. დაუძლეველი ძალა
მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამიწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტადმხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულიბის მოქმედების ვადა
ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდანდა მოქმედებს 2017 წლის 11 ივლისამდე.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ჯემალ ინჯია	რუსუდან საგანელიძე
ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიისმწერალთა სახლის დირექტორი მისამართი: ქ. გორი, სტალინის გამზ. 31. ს. კ. 218079424 სახელმწიფო ხაზინა, TRESGE22 598 94 84 70; 0370 27 57 90 E-mail: gorismweraltasaxli@gmail.com	ი.მ. რუსუდან საგანელიძე ფარნავაზი მისამართი: ქ. გორი, სტალინის გამზ.N10 ს. ს. „ქართუ ბანკი“, CRTUGE22 N GE47CR01 1000 8000 2236 02; ს.კ. 01024012985; email: pharnavazi@mail.ru tel/fax 0(370) 27 95 79;